საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-787

25/09/2018

ქ. თბილისი

ქ. თბილისში შპს "ლიდერ პლასტიკის" პლასტმასის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის II დანართის მე-10 ნაწილის 10.3 ქვეპუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (07.12.2017 #1620-რს) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1.გაიცეს ქ.თბილისში შპს „ლიდერ პლასტიკის" პლასტმასის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა #38; 29.08.2018წ.

2.შპს" ლიდერ პლასტიკი" ვალდებულია გზშ-ს ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს #38; 29.08.2018წ სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;

3.ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ლიდერ პლასტიკს";

4.ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ლიდერ პლასტიკის" მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

5.ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და სამგორის რაიონის გამგეობის საინფორმაციო დაფაზე;

6.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი